

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

აკადემიური საბჭო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №21

ქ. ბათუმი

16.11. 2011 წელი.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ახალი სამტატო განრიგის და სახელფასო ფონდის აღიარების, პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების ცენტრის მდგომარეობის, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის 2011 წლის ბიუჯეტში ცვლილებების, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში უფროსი მასწავლებლების და მასწავლებლების ანაზღაურების, პროფესორის ხელფასთან გათანაბრების თაობაზე მიღებული დადგენილების გაუქმების და მიმდინარე საკითხების თაობაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 08 სექტემბრის №762 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის საზღვაო აკადემიის წესდების მე-4 მუხლის მეორე პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის „ვ“ პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ და „ფ“ ქვეპუნქტების და აკადემიური საბჭოს 2011 წლის 16 ნოემბრის №21 ოქმის საფუძველზე სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის აკადემიურმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა

1. ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სამტატო განრიგი და სახელფასო ფონდი ჩაითვალოს აღიარებულად.
ბ) აკადემიაში ადმინისტრაციული თანამდებობის მოვალეობის შემსრულებელ პროფესორებს მიეცეთ უფლება შეასრულონ აკადემიური თანამდებობის 0,5 სამტატო ერთეულის დატვირთვა.
გ) მიმართულების ხელმძღვანელ პროფესორებს ყოველთვიურ ანაზღაურებაზე მოეხსნათ დანამატი.
წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.
2. - ჩატარდეს პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების ცენტრისათვის გამოყოფილ შენობის სარემონტო სამუშაოები.
- სარემონტო სამუშაოები ჩატარდეს აკადემიის ძალებით.
- დაევალოს აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს თეიმურაზ ტუკვაძეს და საფინანსო განყოფილების უფროსს გელა ბაკურიძეს შეასრულონ ზუსტი ანგარიშ-ღირებულება აკადემიის შიგა ძალებით დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების შესრულებისათვის.
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა თ.ტუკვაძემ, საფინანსო განყოფილების უფროსმა გ. ბაკურიძემ და აკადემიის იურისტმა რ. ხალვაშმა დაადგინონ სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების ცენტრის თანამშრომელთა დასაქმების მდგომარეობა.
- წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.
3. აკადემიური საბჭოს მიერ მიღებულ იქნას ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის 2011 წლის წარმოდგენილი ბიუჯეტის შესწორებული ვარიანტი.
წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

4. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ახალი სამტატო განრიგის მიხედვით უფროს მასწავლებლებთან გათანაბრებული პირების კატეგორიებად დაყოფის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (ოქმი: №10 19.10.2009წ; № 7 20.04.2011წ.) და ბრძანება № 2-251 20.04.2011წ. გაუქმდეს და მათი ანაზღაურება განისაზღვროს სამტატო განრიგის შესაბამისად.

წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

5. ა) ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის ბაკალავრიატის პროგრამის „საზღვაო ნავიგაციის“ სპეციალობის სტუდენტებს:

1. ჯაბა ვარშანიძე მე-4 კურსი
2. მირზა დავითაძე მე-3 კურსი
3. უნან გრიგორიანი მე-4 კურსი
4. ზვიად ნიგალიძე მე-3 კურსი

„გემთმექანიკური“ სპეციალობის სტუდენტებს:

1. ზურაბ თურმანიძე მე-4 კურსი
2. შოთა აბაშიძე მე-3 კურსი

და „ელექტრომექანიკური“ სპეციალობის სტუდენტს

1. გიორგი ოქროპირიძე მე-3 კურსი

აკადემიური საბჭოს მიერ მიეცეთ რეკომენდაცია ინდივიდუალური სწავლების ფორმაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ბ) საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის საზღვაო ნავიგაციის III კურსის სტუდენტს გიორგი ქვარცხავას, რომელსაც ფინანსური დავალიანების გამო შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი, აკადემიური საბჭოს მიერ მიეცეს რეკომენდაცია სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ.

6. აკადემიის ყოფილი სტუდენტის ედუარდ შაშიკაძის მშობელს ნინო ცეცხლაძეს დაუბრუნდეს მათ მიერ შემოტანილი სწავლის საფასური 300(სამასი) ლარის ოდენობით.

წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

7. დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს თეიმურაზ ტუკვაძეს უზრუნველყოს აკადემიაში განთავსებული სასწავლო ინვენტარის (მერხები) საჯარო სკოლებისათვის გადაცემა.

წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

სსიპ- სასწავლო უნივერსიტეტი -
ბათუმის სახელმწიფო
საზღვაო აკადემიის რექტორი

ნიკოლოზ წიკლაური

აკადემიური საბჭოს მდივანი

ენვერ ხავლოშვილი